

მოწვევა სატენდერო წინადადებების შემოტანაზე

თარიღი: 2020 წ. 14 მაისი.

სესხის/გრანტის № და დასახელება: 3291/3292 GEO - ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - ტრანში 5

კონტრაქტის № და დასახელება: UWSCG-NCB Laboratory-G-02-2019 - მობილური ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვა წყლის ხარისხის კონტროლისათვის

სატენდერო წინადადებების შემოტანის ბოლო ვადა: 2020 წ. 12 ივნისი, 15:00 (თბილისის დროით)

1. საქართველომ აზიის განვითარების ბანკისაგან (ADB) მიიღო ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის მე-5 ტრანშის დაფინანსების სესხი. დაგეგმილია, რომ დაფინანსების თანხის ნაწილი გამოყენებული იყოს ზემოხსენებული კონტრაქტის დასაფინანსებლად. ტენდერი ღიაა პრეტენდენტებისათვის აზიის განვითარების ბანკის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.
2. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG) („შემსყიდველი“) იწვევს ელექტრონულ სატენდერო წინადადებებს უფლებამოსილი პრეტენდენტებისაგან საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით წყლის ხარისხის კონტროლისათვის მობილური ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით.

საქონლისა და დაკავშირებული მომსახურებების მოკლე აღწერა შემდეგია:

№	საქონლის ან დაკავშირებული მომსახურებების დასახელება	აღწერა	განზომილები ს ერთეული	რაოდენობა
1	სპექტროფოტომეტრი	ნივთიერების არეკვლის ან გატარების თვისებების რაოდენობრივი გაზომვა ტალღის სიგრძის ფუნქციის სახით	ც	10
2	pH ტემპერატურა გამტარობა TDS ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალი გახსნილი ჟანგვადი	სამეცნიერო ინსტრუმენტი, რომელიც ზომავს წყალბადის იონის აქტიურობას წყალზე დაფუძნებულ ხსნარებს, უთითებს მის მჟავიანობას ან ტუტეიანობას pH-ის სახით. ზომავს ტემპერატურას. ზომავს წყალხსნარის უნარს გაატაროს ელექტრული დენი. TDS მზომი უთითებს ხსნარის საერთო გახსნილ მყარ ნაწილაკებს,	ც	10

		<p>ანუ გახსნილი მყარი ნაწილაკების კონცენტრაციას</p> <p>ORP ნიშნავს ჟანგვა-აღდგენით პოტენციალს. ის ასევე უზღვევს ქიმიური ნივთიერების ტენდენციას მილივოლტებში - დაჟანგოს ან აღადგინოს სხვა ქიმიური ნივთიერება.</p> <p>გახსნილი ჟანგბადი - რამდენი ჟანგბადია გახსნილი წყალში - წყლის ცოცხალი ორგანიზმებისათვის ხელმისაწვდომი ჟანგბადის რაოდენობა. მდინარეში ან ტბაში გახსნილი ჟანგბადის რაოდენობას ბევრი რამის თქმა შეუძლია წყლის ხარისხის შესახებ.</p>		
3	სიმღვრივის მზომი	პორტატული სიმღვრივის მზომი ლაბორატორიული თუ საველე კვლევების დროს სიმღვრივის ზუსტი გაზომვისათვის.	6	10
4	მაგნიტური შემრევი ელექტროკონფორით	მაგნიტური შემრევი ელექტროკონფორით სინჯის მომზადებისათვის	6	12
5	ვაკუუმის ფილტრის სისტემა მიკრობიოლოგიური ანალიზისათვის, რომელიც შედგენა ვაკუუმ ტუმბოსაგან, ფილტრის დამჭერით ვაკუუმ ფილტრაციისათვის და ფილტრის მემბრანისაგან	<p>ვაკუუმის ფილტრი უმთავრესად გამოიყენება მიკრობიოლოგიური და ანალიზური პროცედურების დროს, რაც მოიცავს წყლის სუსპენზიისაგან ნაწილაკების შეგროვებას (ბაქტერია, ნალექი, ა.შ.).</p> <p>ძაბრში ჩასხმული სითხე გაივლის ფილტრს, რომელიც აკავებს ნაწილაკებს, ხოლო ფილტრატი გროვდება ფილტრის კოლბაში, ვაკუუმის მილების სისტემით ან მათი გავლით.</p> <p>ვაკუუმის გამოყენებით პროცესის დრო მცირდება თვითდენით დინებასთან შედარებით</p>	6	10

6	პიპეტების კომპლექტი - 100 µl, 1, 5, 10 მლ	ხელსაწყოები სითხეების ასაღებად, გასაზომად და გადასატანად	6	10
7	ანალიტიკური სასწორი	ანალიტიკური სასწორი (ხშირად ემახიან ლაბორატორიულ სასწორს) - სასწორთა კლასი, რომელიც ზომავს მცირე მასას სუბ-მილიგრამულ დიაპაზონში.	6	10
8	მეორე კლასის ბიოლოგიური უსაფრთხოების კარადები	დახურული, განიავებადი ლაბორატორიული სამუშაო ადგილი პათოგენებით დაბინძურებულ (ან პოტენციურად დაბინძურებულ) ნივთიერებებთან უსაფრთხო მუშაობისათვის, რაც მოითხოვს ბიოუსაფრთხოების განსაზღვრულ დონეს.	6	10
9	მიკრობიოლოგიური ინკუბატორი	ინკუბატორი - მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება მიკრობიოლოგიური კულტურების ან უჯრედული კულტურების მოსაყვანად და შესანახად. ინკუბატორი ინარჩუნებს ოპტიმალურ ტემპერატურას, ტენიანობასა და სხვა პირობებს, როგორცაა შიდა ატმოსფეროში CO2 და ჟანგბადის შემცველობა.	6	10
10	ავტოკლავი სტერილიზატორისათვის	ავტოკლავი იყენებს წნევიან ორთქლს სტერილიზაციის რეაგენტის სახით. ავტოკლავის ძირითადი ფუნქციაა თითოეული ნივთის სტერილიზაცია - იქნება ეს თხევადი, პლასტმასის ნაწარმი თუ მინის ნაწარმი - ეს ნაწარმი უშუალოდ ეხება ორთქლოს კონკრეტულ ტემპერატურასა და წნევაზე გარკვეული დროის განმავლობაში	6	22
11	მაცივარი რეაგენტების შესანახად	ლაბორატორიული მაცივრები გამოიყენება სინჯების გასაგრილებლად, ნიმუშებისა და რეაგენტების შენახვისათვის	6	10

3. მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს არა მხოლოდ შემდეგს:

საშუალო წლიური ბრუნვა: მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა **\$ 886,500.00 აშშ დოლარის** ოდენობით, რომელიც გამოითვლება ბოლო **3 (სამი)** წლის (2017, 2018, 2019) განმავლობაში დასრულებული ან მიმდინარე კონტრაქტების ფარგლებში პრეტენდენტის მიერ მიღებული თანხების ჯამით (ერთიანი საწარმოს შემთხვევაში: თითოეულმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნის 25%, ხოლო ერთმა - 40%);

საკონტრაქტო გამოცდილება: ბოლო **3 (სამი)** წლის განმავლობაში სულ მცირე **2 (ორი)** კონტრაქტის წარმატებით დასრულება თითოეული **472,000.00 აშშ დოლარის** ოდენობის ღირებულებით, რომელთა ბუნებაც და სირთულე მე-6 სექციაში (მოწოდების გრაფიკი) აღწერილი მოწოდების მოცულობის მსგავსია (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: ყველა პარტნიორმა ერთად უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნა);

- სახელმწიფო კონკურენტუნარიანი ტენდერი ჩატარდება **საქართველოს ელექტრონული შესყიდვის სისტემით** ADB-ს ერთეულებით: ერთკონვერტიანი სატენდერო პროცედურის მიხედვით და ღია ყველა პრეტენდენტისათვის უფლებამოსილი ქვეყნიებიდან, როგორც სატენდერო დოკუმენტებშია განსაზღვრული.
- დამატებითი ინფორმაციის მოპოვებისა და სატენდერო დოკუმენტების შემოწმების მიზნით პრეტენდენტებმა უნდა იხილონ საქართველოს ელექტრონული შესყიდვის სისტემის გვერდი - www.procurement.gov.ge
- სატენდერო დოკუმენტების ჩამოტვირთვა უფასოდ ინგლისურ ენაზე შესაძლებელია საქართველოს ელექტრონული შესყიდვის სისტემის გვერდიდან 2020 წ. 14 მაისიდან 2020 წ. 12 ივნისამდე.
- სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს **საქართველოს ელექტრონული შესყიდვის სისტემით** 2020 წლის 12 ივნისამდე/ივნისს, (15:00) (თბილისის დროით). პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადების ფასი უნდა მიუთითონ ელექტრონულ ველში **საქართველოს ელექტრონული შესყიდვის სისტემაში**; წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ასეთი სატენდერო წინადადების უარყოფა. პრეტენდენტმა **სატენდერო წინადადების გარანტია ელექტრონულად უნდა წარმოადგინოს, ხოლო დედანი** - საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ოფისში სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადამდე. სატენდერო წინადადებები გაიხსნება ელექტრონულად **საქართველოს ელექტრონული შესყიდვის სისტემაში** 2020 წლის 12 ივნისს, 15:00 (თბილისის დროით).